საქართველოს პრემიერ-მინისტრი - ირაკლი ღარიბაშვილი

დაბადების თარიღი და ადგილი: 28 ივნისი 1982 წ. ქ. თბილისი.

განათლება:
2005 წ. - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,საერთაშორისო ურთიერთობები, მაგისტრატურა;
2002-2004 წწ. - სორბონის უნივერსიტეტი Paris-I, პოლიტიკური მეცნიერებების ფაკულტეტი, სპეციალობა: საერთაშორისო ურთიერთობები. (პარიზი, საფრანგეთი);
1999-2004 წწ. - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი. სპეციალობა: საერთაშორისო ურთიერთობები;

პროფესიული გამოცდილება:
2012 წლის ოქტომბრიდან დღემდე - საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი;
2012 წლის თებერვალი-ოქტომბერი - პოლიტიკური პარტია "ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს" დამფუძნებელი წევრი და პარტიის სარევიზიო კომისიის ხელმძღვანელი;
2012 წლის მოწვევის საქართველოს პარლამენტის წევრი;
2009-2012 წწ. - შპს "ქართული ოცნების" დირექტორი;
2007-2012 წწ. - სს "ბანკი ქართუ"-ს სამეთვალყურეო საბჭოს წევრი;
2006 წ. - საქართველოში სან-მარინოს რესპუბლიკის საპატიო კონსულის პირადი წარმომადგენელი;
2005-2012 წწ. - საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი "ქართუ"-ს გამგეობის თავმჯდომარე. გენერალური დირექტორი;
2005-2008 წწ. - სააქციო საზოგადოება "ქართუ ჯგუფის" პრეზიდენტის თანაშემწე;
2005 წლის მაისი-ოქტომბერი - შ.პ.ს. "ბურჯი"-ს (ქართუ-ჯგუფი) ლოჯისტიკის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე;
2004-2005 წწ. - შპს "ბურჯი"-ს (ქართუ-ჯგუფი) ლოჯისტიკის დეპარტამენტის საგარეო შესყიდვების განყოფილების მენეჯერი;
2001-2002 წწ. - საქართველოს პარლამენტი, სტაჟიორი საგარეო ურთიერთობათა კომიტეტში.

ენების ცოდნა: ქართული, ინგლისური, ფრანგული, რუსული.

ოჯახური მდგომარეობა: ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი -

თამარ სანიკიძე

დაბადების თარიღი: 1978 წ. 30 აგვისტო

დაბადების ადგილი: ქ. თბილისი

განათლება:

მართვის ამერიკული ასოციაცია (AMA) - აგვისტო 2011

ფინანსური მოდელირების კურსი

სერტიფიცირებულ ბუღალტერთა ასოცოაცია, გლაზგოს უნივერსიტეტის პროგრამა (Association of Chartered Certified Accountants –ACCA Glasgow University, Distance Learning Program) - 2003-2007

საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი (GIPA) - 2000

სახელმწიფო მმართველობა - მაგისტრის ხარისხი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი - დასავლეთ ევროპული ენები და ლიტერატურა - 1995-1999

სპეციალობა – ინგლისური ენა და ლიტერატურა - ბაკალავრი

სამუშაო გამოცდილება:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო - ნოემბერი 2012 - ივლისი 2013

მინისტრის პირველი მოადგილე

საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი (GIPA) - მარტი 2010 – ოქტომბერი 2012

ფინანსური დირექტორი

სერტიფიცირებულ ბუღალტერთა ასოცოაცია – თბილისი, სექტემბერი 2008 - დღემდე

ლექტორი – კორპორატიული და ბიზნეს სამართალი

საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი (GIPA) - აგრარული განვითარების პროგრამა (GRDP) - ოქტომბერი 2009 - მარტი 2010

ფინანსური მენეჯერი

ურბანული ინსტიტუტის წარმომადგენლობა საქართველოში (UI), ადგილობრივი თვით მმართველობისგანვითარების პროექტი (CELD) - მაისი 2006 - სექტემბერი 2009

ფინანსური დირექტორი

ურბანული ინსტიტუტის წარმომადგენლობა საქართველოში (UI), ადგილობრივი თვით მმართველობისგანვითარების პროექტი (CELD) - ივლისი 2005 – მაისი 2006

შესყიდვების მენეჯერი

ურბანული ინსტიტუტის წარმომადგენლობა საქართველოში (UI), ადგილობრივი თვით მმართველობისგანვითარების პროექტი (CELD) - იანვარი 2005 – ივლისი 2005

რესურსების მართვის პროგრამის კოორდინატორი

სს თელასი, ქსელის განვითარების დეპარტამენტი - (სექტემბერი 2003- იანვარი 2005)

ეკონომისტი – (დაგეგმარება, კოორდინაცია, ბიუჯეტის კონტროლი)

Black & Veatch (UK) LTD - თბილისის გამრიცხველიანების პროექტი - მაისი 2001 – სექტემბერი 2003

ფინანსური დირექტორის მოადგილე

Black & Veatch (UK) LTD - თბილისის გამრიცხველიანების პროექტი - ნოემბერი 2000- მაისი 2001

სამშენებლო სამუშაოების შემფასებელი (Quantity Surveyor)

საქართველოს ტრანსპორტის სამინისტრო - საზღვაო დეპარტამენტი, მარტი 1998 – ივლისი 1999

წამყვანი სპეციალისტი

უცხოური ენები:

ინგლისური

რუსული

კომპიუტერული უნარ-ჩვევები:

Windows, Word, Excel, Power Point, Netscape, Access and Internet Explorer, Exact, Quicken, Oris.

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრი - ხათუნა გოგალაძე

გარემოს დაცვით სფეროში გააჩნია მუშაობის 12-წლიანი გამოცდილება სახელმწიფო, საერთაშორისო და არასამთავრობო სექტორში.

მან წარჩინებით დაამთავრა:

- ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტი. ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტის მაგისტრატურა გარემოსდაცვითი მეცნიერებებისა და პოლიტიკის განხრით.
- ინდიანას უნივერსიტეტის (აშშ) მაგისტრატურა სახელმწიფო მართვის სფეროში გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მართვის მიმართულებით.

წლების განმავლობაში მუშაობდა გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში საერთაშორისო ურთიერთობებისა და გარემოსდაცვითი პოლიტიკის მიმართულებით. 2008 წლიდან მართავდა ეუთო-ს პროექტს, რომელიც მიმართული იყო საქართველოში გარემოსდაცვითი დემოკრატიის ხელშეწყობისკენ.ბოლო წლებში, მუშაობდა ეუთო-ს "გარემო და უსაფრთხოების" ინიციატივის ეროვნული კოორდინატორის პოზიციაზე.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი -

გიორგი კვირიკაშვილი

დაბადების თარიღი
1967 წლის 20 ივლისი

სამუშაო გამოცდილება
2012 წლის 25 ოქტომბრიდან - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი,
2013 წლის 26 ივლისიდან - ვიცე-პრემიერი.

საბანკო/საფინანსო გამოცდილება
2012 წლის მარტი - 2012 ოქტომბერი - ამერიკული საკონსულტაციო ფირმა "Lenzie Fisher Hendry LLC" - საფინანსო სექტორის და საპენსიო რეფორმის ექსპერტი;
2006 წლის თებერვალი - 2011 წლის ოქტომბერი - სააქციო საზოგადოება "ქართუ ბანკი"- გენერალური დირექტორი;
2004-2006 - პირველი კომერციული ბანკი (ამჟამად ტაოპრივატბანკი) - აღმასრულებელი მენეჯმენტის კონსულტანტი;
1998 - გაერთიანებული ქართული ბანკი - ბიზნესის განვითარებისა და ფილიალების ქსელის მართვის დირექტორი, აქტივ-პასივების მართვის განყოფილების დირექტორის მოადგილე;
1996-1997 - Trade Invest Bank - გენერალური დირქტორის მოადგილე;
1993-1996 - გაერთიანებული ქართული ბანკი - საკრედიტო დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე (საწყისი პოზიცია - დოკუმენტური სავაჭრო ოპერაციების ოფიცერი).

სპეციალიზირებული ტრენინგი სოფლის მეურნეობის დაკრედიტებაში
2005 აგვისტო-სექტემბერი -VilliWide Bank ფრენსო, კალიფორნია, აშშ.

მთავრობა/დონორი ორგანიზაციების გამოცდილება
1999-2004 - საქართველოს პარლამენტის წევრი, ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე, WTO-ს საპარლამენტო სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი;
1999 - სახელმწიფო კანცელარია - ფისკალური, მონეტარული და საგარეო ეკონომიკური ურთიერთობის სამსახურის უფროსის მოადგილე.

საქართველოს ენერგეტიკის მინისტრი - კახა კალაძე

დაბადების თარიღი: თებერვალი 27, 1978
უცხო ენები: ინგლისური, რუსული, იტალიური
ჰყავს მეუღლე და ორი შვილი
მინიჭებული აქვს ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენი

განათლება
2000 წელს დაამთავრა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი

სპორტული კარიერა
2010-2012 წლებში თამაშობდა კლუბში „ჯენოა“
2001-2010 წლებში თამაშობდა იტალიურ საფეხბურთო კლუბში „მილანი“
1998-2001 წლებში თამაშობდა კლუბში „დინამო კიევი“
1996-2012 წლებში იყო საქართველოს ფეხბურთის ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში
1993 წელს კლუბში „დინამო თბილისი“
სპორტული კარიერის განმავლობაში, რამდენჯერმე საქართველოს საუკეთესო ფეხბურთელად დასახელდა

პროფესიული გამოცდილება
2008 წლიდან საქველმოქმედო ფონდი „კალა ფონდი“ დამფუძნებელი
2007 წლიდან საერთაშორისო საინვესტიციო ჯგუფი „კალა კაპიტალი“დამფუძნებელი

საქართველოს თავდაცვის მინისტრი - ირაკლი ალასანია

დაბადების თარიღი: 1973 წლის 21 დეკემბერი

უცხო ენები: ინგლისური, რუსული

სამხედრო წოდება: თადარიგის პოლკოვნიკი

განათლება:

1990 -1995 წწ. - თბილისის ი.ჯავახიშვლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საერთაშორისო სამართლის სპეციალობა.

1994-1996 წწ. – საქართველოს უშიშროების აკადემია.

სამუშაო გამოცდილება:

1994-1998 წწ. – საქართველოს უშიშროების სამინისტროს კონტრდაზვერვის სამსახური; საქართველოს უშიშროების აკადემია;

1998 წ - საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ცენტრალური აპარატი;

1998-2001 წწ - საქართველოს საელჩო აშშ-ში, კანადასა და მექსიკაში;

2001 წ - საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატის უშიშროების საკითხთა სამსახურის უფროსი;

2002 -2004 წწ - სახელმწიფო უშიშროების მინისტრის პირველი მოადგილე, საკურატორო სფერო - ანტიტერორისტულ ღონისძიებათა დაგეგმვა და განხორციელება; 2004 წ -საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილე;

2004 წ -ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილე;

2004-2006 წწ -აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე;

2005წ - პრეზიდენტის სპეციალური წარმომადგენლი ქართულ-აფხაზურ მოლაპარაკებებში;

2006-2008 წწ - გაეროში საქართველოს მუდმივი წარმომადგენლი;

2009 წ - ,,ალიანსი საქართველოსთვის'' დამფუძნებელი;

2009 წ - პოლიტიკური პარტია „ჩვენი საქართველო - თავისუფალი დემოკრატების“ დამფუძნებელი და თავმჯდომარე;

2012 წ - კოალიცია „ქართული ოცნების'' ერთ–ერთი ლიდერი და დამფუძნებელი.

ჯილდოები: 2002 წ - დაჯილდოვდა ვახტანგ გორგასლის მე-2 ხარისხის ორდენით.

ირაკლი ალასანიას ჰყავს მეუღლე ნათია ფანჯიკიძე და ორი შვილი.

საქართველოს იუსტიციის მინისტრი - თეა წულუკიანი

დაიბადა 1975 წლის 21 იანვარს თბილისში.

1992 წელს დაამთავრა ლიონის (საფრანგეთი) ამპერის სახელობის ლიცეუმი და მიიღო საშუალო განათლების ბაკალავრის დიპლომი.

1992 წელს ჩაირიცხა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტზე, რომელიც წარმატებით დაამთავრა 1997 წელს. პარალელურად სწავლობდა საგარეო საქმეთა სამინისტროსთან არსებულ დიპლომატიის აკადემიაში, რომელიც დაასრულა 1998 წელს.

1997-1998 წლებში მუშაობდა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსთან არსებულ საგარეო პოლიტიკის კვლევისა და ანალიზის ცენტრში.

1998 წელს წარმატებით ჩააბარა საკონკურსო გამოცდა საფრანგეთის სახელმწიფო მართვის სკოლაში (ENA), რომელიც საფრანგეთის პრემიერ-მინისტრს ექვემდებარება და პრეფექტებს, სხვადასხვა მაღალჩინოსნებსა და ადმინისტრაციული იუსტიციის მოსამართლეებს ამზადებს. „ENA"-ში სწავლის პერიოდში იგი მუშაობდა სარტის დეპარტამენტის (დასავლეთ საფრანგეთი) პრეფექტის კაბინეტში ქალაქის რთულ უბნებში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საკითხებსა და ადგილობრივ დონეზე სახელმწიფო მმართველობის ორგანოთა საქმიანობის კოორდინაციის სხვა საკითხებზე.

2000 წელს თეა წულუკიანმა სახელმწიფო მართვის სკოლა დაამთავრა და დაიცვა მაგისტრის ხარისხი საჯარო ადმინისტრაციაში (MPA).

2000 წლის სექტემბერში ევროსაბჭოს მიერ ჩატარებული კონკურსის შედეგად, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს შტატიანი თანამშრომელი გახდა. იურისტის თანამდებობაზე მის მოვალეობებში შედიოდა საქართველოსა და ნაწილობრივ რუსეთის წინააღმდეგ მიმართული საჩივრების საფუძვლიანობის შესწავლა, ამ საქმეებზე გადაწყვეტილებათა და განჩინებათა შემუშავება და განსახილველად მათი გადაცემა უფლებამოსილი სასამართლო ორგანოებისათვის, სათათბირო ოთახში მომხსენებელი მოსამართლის თანაშემწეობა, საქართველოდან შემოსულ საჩივრებზე მომუშავე დანაყოფის ხელმძღვანელობა და სხვა.

2005 წელს თეა წულუკიანმა მიიღო უფროსი იურისტის საკლასო ჩინი.

2006 წლიდან იყო სასამართლოს რეგლამენტის კომიტეტის წევრი, 2009 წლიდან – მომხსენებელი ერთი მოსამართლის მიერ განსახილველ საქმეებზე.

2010 წლის 24 თებერვალს იგი გადადგა დაკავებული თანამდებობიდან და საქართველოში დაბრუნდა.

2010 წლის 15 მაისს თეა წულუკიანი შეუერთდა თავისუფალ დემოკრატებს, როგორც პარტიის თავმჯდომარის მრჩეველი ადამიანის უფლებათა დარგში, და მოგვიანებით პარტიის თავმჯდომარის მოადგილედ დაინიშნა. ამავე დროს, პარტიის სტრუქტურებში ქალთა უფლებების თემას კურირებდა.

2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში თეა წულუკიანი კოალიცია „ბიძინა ივანიშვილი – ქართული ოცნებიდან“ ნაძალადევის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი გახდა.

2012 წლის 25 ოქტომბერს თეა წულუკიანი საქართველოს იუსტიციის მინისტრად დაინიშნა.

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი -

მირიანე ოდიშარია

გურამ (მირიან) ოდიშარია - პოეტი, პროზაიკოსი, დრამატურგი, მთარგმნელი, სცენარისტი.

დაიბადა 1951 წლის 24 სექტემბერს სოხუმში. სოხუმშივე დაამთავრა N1 საშუალო სკოლა, სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი.

სხვადასხვა დროს მუშაობდა: სოხუმის რაიონის რადიომაუწყებლობაში, აფხაზეთის საოლქო გაზეთში, აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს კულტურისა და განათლების უფროს რეფერენტად, ლიტერატურულ-საზოგადოებრივი ჟურნალის - „რიწის“ მთავარ რედაქტორად, გაზეთ „შანსის“ განყოფილების გამგედ, ასევე უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციას.

გამოცემული აქვს ცხრა პოეტური კრებული, მათ შორის - „საგალობლები შენთვის“ (სოხუმი, „ალაშარა“, 1976), „მშვიდობა სახლსა ამას“ (სოხუმი, „ალაშარა“, 1982), „უნებლიე ვედრებანი“ (თბილისი, „მერანი“, 1984), „შუაღამის ხე“ (თბილისი, „მერანი“, 1990).

ასევე გამოცემული აქვს შვიდი პროზაული წიგნი, მათ შორის - „სოხუმში დაბრუნება“ (თბილისი, „მერანი“ 1995), „სოხუმში მოსალოდნელია წვიმა“ (თბილისი, „ლომისი“, 1995), „შავი ზღვის ოკეანე“ (თბილისი, „მერანი“, 2001), „პრეზიდენტის კატა“ (თბილისი, „უნივერსალი“, 2008), „სათვალიანი ბომბი“ (თბილისი, „ფორმა, 2009“).

მისი ნაწარმოებები თარგმნილია თერთმეტ ენაზე.

გურამ ოდიშარიას პიესის მიხედვით რეჟისორმა თემურ ჩხეიძემ სამეფო უბნის თეატრში დადგა სპექტაკლი „... ზღვა, რომელიც შორია“.

ის მონაწილეა 50-ზე მეტი ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური შეხვედრის. ასევე მონაწილეობას იღებდა საერთაშორისო კონფერენციებზე, სადაც განიხილებოდა კონფლიქტოლოგიის, კულტურისა და განათლების საკითხები (სამხრეთ კორეა, ტაილანდი, ინგლისი, ჰოლანდია, ბელგია, თურქეთი, ესპანეთი, იტალია, საბერძნეთი, რუსეთი, უკრაინა, სომხეთი, აზერბაიჯანი, უზბეკეთი და სხვა).

2008 წელს გურამ ოდიშარიას გლობალური მშვიდობის ფედერაციამ სამხრეთ კორეაში (სეული) მიანიჭა მშვიდობის ელჩის სტატუსი.
დაჯილდოებულია რამდენიმე პრემიით. მათ შორის - საქართველოს სახელმწიფო, ილია ჭავჭავაძის სახელობის, თეატრალური საზოგადოების, ანტონ ჩეხოვის სახელობის პრემიებით, ასევე - ჟურნალისტთა საერთაშორისო ასოციაციის პრემიით „ოქროს ფრთა“.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი - დავით სერგეენკო

დაიბადა 1963 წლის 25 სექტემბერს.

1987 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის პედიატრიული ფაკულტეტი, 1991 წელს - მოსკოვის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტი - ინტენსიური თერაპიის მიმართულებით.

კვალიფიკაცია გავლილი აქვს:

1999 წელი - მაისი-ივლისი, ანესთეზია - ინტენსიური თერაპიის კვალიფიკაცია. ბერლინის გულის ინსტიტუტი.

2001 წელი- პედიატრიული კარდიორეანიმაცია. ჰარვარდის სამედიცინო სკოლა, ბოსტონის ბავშვთა საავადმყოფო.

2003 წელი - ოფშორული მედიცინის კვალიფიკაცია. აბერდინი, გაერთიანებული სამეფო.

2005 წელი - ივნისი, გადაუდებელი სამედიცინო დახმარება პედიატრიაში. თბილისი, საქართველო.

2006 წელი - ივლისი, გადაუდებელი სამედიცინო დახმარების სასწავლო კურსი. თბილისი, საქართველო.

მინიჭებული აქვს სახელმწიფო სერტიფიკატი ანესთეზიოლოგია-რეანიმატოლოგია, კრიტიკული მედიცინის დარგში.

სხვადსხვა დროს მუშაობდა:

1987-1989წწ. ექიმი-ინტერნი, სოხუმის ბავშვთა საავადმყოფო.

1989-1992წწ. ექიმი-ნეონატოლოგი. რუსთავის სამშობიარო სახლი.

1992-1993წწ. საქართველოს შეიარაღებული ძალები. საავიაციო პოლკის ექიმი.

1995-1997წწ. საქართველოს სპორტის დეპარტამენტი. სამედიცინო სამსახურის უფროსი.

1997-2006წწ. ჯოენის სამედიცინო ცენტრი - ანესთეზიოლოგ-რეანიმატოლოგი.

2002-2006წწ. MediClubGeorgia - სამედიცინო მენეჯერი.

2006- 2012წწ. საჩხერის სამედიცინო ცენტრის გენერალური დირექტორი.

2012 წლის 25 ოქტომბრიდან არის საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი.

ფლობს ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებს.

ჰყავს მეუღლე და 2 შვილი.

საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრი - სოზარ სუბარი

დაბადების თარიღი: 1964 წლის 4 ნოემბერი.

1985 წ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი, სპეციალობა: ეთნოგრაფია.

1995 წ. თბილისის სასულიერო აკადემიის თეოლოგიის ფაკულტეტი.

სამუშაო გამოცდილება

1981-1982 და 1988 წ. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრი.

1987 წ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილება.

1989 წ. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია მეორის ხელდასხმით გახდა იპოდიაკონი და მსახურობდა დავით-გარეჯის მონასტერში მედავითნედ.

1989-1991 წწ. დმანისის რაიონის სოფ. ბოსლების საჯაროსკოლის დირექტორი.

1989-1991 წწ. მედავითნედ მსახურობდა დმანისში, დმანისის სიონის ტაძარში.

1991-1995 წწ. ივერიის ღვთისმშობლის ხატის სახელობისტაძარი, თბილისი.

1993 წ. მონაწილეობდა აფხაზეთის შეიარაღებული კონფლიქტის დროს მიმდინარე საბრძოლო მოქმედებები.

1995-1996 წწ. გაზეთი "კავკასიონის" კორესპონდენტი.

1996-2000 წწ. გაზეთი "კავკასიონის" რედაქტორი.

1996-2003 წწ."რადიო თავისუფლება, რადიო თავისუფალი ევროპის" კორესპონდენტი.

1998-2001 წწ. ლონდონის ომისადა მშვიდობის რეპორტაჟების ინსტიტუტის კორესპონდენტი.

2002 წ. კავკასიის ჟურნალისტთა საერთაშორისო ცენტრის დამფუძნებელი.

2003-2004 წწ. არასამთავრობო ორგანიზაცია თავისუფლების ინსტიტუტი პროექტის - კანონის უზენაესობის - დირექტორი.

2004-2009 წწ. საქართველოს სახალხო დამცველი.

2009 წ. გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის მრჩეველთა საბჭოს წევრი.

უცხო ენები: რუსული და ინგლისური.

ოჯახური მდგომარეობა: დაოჯახებული.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი - დავით ნარმანია

დაბადების თარიღი: 1979 წლის 7 მარტი
დაბადების ადგილი: საქართველო
ოჯახური მდგომარეობა: ჰყავს მეუღლე და ერთი ვაჟი
ენები: ქართული, რუსული, ინგლისური, გერმანული.

განათლება

2002 – 2005 – ასპირანტურა, ეკონომიკის აკადემიური დოქტორი (2006) ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სპეციალობა: "სექტორული ეკონომიკა (მრეწველობა)".

2000 – 2002 – ეკონომიკის მაგისტრის სამეცნიერო ხარისხი, საერთაშორისო ბიზნესის მენეჯერის კვალიფიკაცია (2002 წ.). ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტი, ,,საერთაშორისო ბიზნესის მართვის" სპეციალობა.

1996 – 2000 – ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, მენეჯერის კვალიფიკაცია (2000 წ.) ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მენეჯმენტისა მიკროეკონომიკის ფაკულტეტი, ,,საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ორგანიზაციისა და მართვის" სპეციალობა.

სამსახურეობრივი საქმიანობა

01/2009 – დღემდე აღმასრულებელი დირექტორი, "კავკასიის ეკონომიკური და სოციალური კვლევითი ინსტიტუტი" - CIESR.

01/2008 – 12/2009 – კვლევითი განყოფილების უფროსი, "საკონსულტაციო-ანალიტიკური ტრენინგ-ცენტრი".

01/2006 – 12/2007 – გამგეობის თავმჯდომარე, "საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია".

05/2005 – 01/2006 – უფროსი ბიზნეს-კონსულტანტი, "პრივატიზებულ საწარმოთა რესტრუქტურიზაციისა და მენეჯმენტის დახმარების ცენტრი" - CERMA.

01/2005 – 01/2006 – გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე, "საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია".

04/2004 – 12/2005 – გენერალური დირექტორი, კომპანია "ბიზნეს კონსალტინგის ჯგუფი".

07/2003 – 04/2004 – საგადასახადო-საბიუჯეტო პროგრამის კოორდინატორი, "საზოგადოებრივი განვითარების ინსტიტუტი".

03/2001 – 07/2003 – უფროსი სპეციალისტი და სამინისტროს სათათბირო ორგანოს მდივანი, საქართველოს საგადასახადო შემოსავლების და ფინანსთა სამინისტროები.

01/1999 – 02/2001 – ეკონომიკური განათლების პროგრამის კოორდინატორი, საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია.

გამოცდილება

07-25.02/2011 – ინდოეთის ტექნიკური და თანამშრომლობის (ITEC) ტრენინგ-პროგრამა: ფინანსური მენეჯმენტი, სამთავრობო ანგარიშებისა და ფინანსების ინსტიტუტი (INGAF), ფინანსთა სამინისტრო, ნიუ-დელი, ინდოეთი.

04-07/2010 – ეკონომიკური ექსპერტი, ჟურნალი „ექსპერტი", The Economist-ის ოფიციალური წარმომადგენელი საქართველოში.

01/2009 – 09/2009 – ,,თვითმმართველობისა და დემოკრატიისათვის" საზოგადოებრივ ორგანიზაციათა კოალიციის კოორდინატორი.

10/2007 – 12/2007

10/2008 – 12/2008 – სამეცნიერო სტაჟირება გერმანიის აკადემიური გაცვლების საბჭოს (DAAD) პროგრამით - გერმანია, პოცდამის უნივერსიტეტის ფინანსურ მეცნიერაბათა კათედრა.

11/2008 – ადგილობრივი თვითმმართველობის ფინანსური კონტროლის მექანიზმები და პერსპექტივები საქართველოში, მოხსენება საერთაშორისო კონფერენციაზე, ქ. თბილისი, გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოება - GTZ.

09/2007 – უსაფრთხოების გაუმჯობესება და ტრანზიტის მომსახურენა საქართველოს პორტებში, პრეზენტაცია საერთაშორისო კონფერენციაზე ქ. ჰელსინკში (ფინეთი), OSCE.

05/2006 – 10/2006 – საბჭოს კოორდინატორი, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა კოალიცია "საჯარო ფინანსების გამჭვირვალობისათვის".

07/2006 – საბანკო, სადაზღვევო და საჯარო სექტორი: ემპირიული გამოცდილება და პოლიტიკის მართვა" - გერმანია, პოcდამის საზაფხულო აკადემია.

2004 – 2005 – ექსპერტი ფინანსურ და ქონებრივ საკითხებში, "საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის და ხელისუფლების დონეებს შორის ადმინისტრაციული, ფინანსური, ქონებრივი და სამართლებრივი უფლებამოსილებების გამიჯვნის კონცეპტუალური მოდელი", საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია.

10-11/2005 – საბაჟო სასაზღვრო ბარიერები, სხვა დაბრკოლებები და დაგეგმილი რეფორმები, მოხსენება საერთაშორისო კონფერენციებზე, ქ. ბაქო (აზერბაიჯანი) და დუშანბე (ტაჯიკეთი), OSCE.

06/2004 – ფისკალური დეცენტრალიზაციის ინიციატივა ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში - თურქეთი, ბოდრუმი, პრეზენტაცია: ფისკალური გამოთანაბრება საქართველოში, OSI.

08/2004 – სემინარ-ტრეინინგები: სამოქალაქო ინტერესების დაცვა და წარმატებული კოალიციების საქმიანობა - სლოვაკეთი, ბრატისლავა, Partners Slovakia.

07/2003 – 09/2005 – კოალიციური პროექტის "მმართველობის გაუმჯობესების კამპანია სოციალური დაცვის სფეროში" კოორდინატორი, Save The Children და საზოგადოებრივი განვითარების ინსტიტუტი.

2001 – 2002 – პროფესიონალი ექსპერტი, USAID-ის კონტრაქტორი დამოუკიდებელი ეკონომიკური და სოციალური კვლევების ორგანიზაცია The Urban Institute, USAID, KPMG Consulting, სემინარ-ტრეინინგები: ბიუჯეტი და თანამედროვე ფინანსური მენეჯმენტი.

2001 – 2002 – ეკონომიკური ექსპერტი, "სახელმწიფო შესყიდვების უცხოური გამოცდილება და საქართველოში მიმდინარე შესყიდვების რეფორმა", World Bank.

2000 – 2001 – სტაჟირება, საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობათა და ინვესტიციების დეპარტამენტი, საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტრო.

1999 – 2000 – სტუდენტთა და ასპირანტთა კავშირის საფაკულტეტო ორგანიზაციის თავმჯდომარე, ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს წევრი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

სამეცნიერო-ანალიტიკური კვლევები და საქმიანობა

1999 - 2010 – 24 სამეცნიერო და პოპულარული ნაშრომის ავტორი და 34 სამეცნიერო ნაშრომის თანაავტორი.

09/2004 – 02/2007 – მოწვეული პროფესორი საჯარო ფინანსების მართვის მიმართულებით, საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი - GIPA.

02/2007 – 09/2009 – სრული პროფესორი საჯარო ფინანსების მართვის მიმართულებით, საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი - GIPA.

09/2009 - დღემდე – ასოცირებული პროფესორი, მენეჯმენტის და ადმინისტრირების კათედრის გამგის მ/შ, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

09/2006 – 09/2008 – ასისტენტ-პროფესორი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

2005 - 2006 – მოწვეული, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

2008-2009 – 1 სადისერტაციო ნაშრომის და 8 სახელმძღვანელოს რეცენზენტი.

2008 – ანალიტიკური კვლევა: ,,ფისკალური დეცენტრალიზაცია საქართველოში", კვლევის ავტორი, გერმანიის ტექნიკური თანაშმრომლობის საზოგადოება, GTZ.

2008 – საკანონმდებლო კვლევა: „დასკვნა საქართველოს კანონის პროექტზე "საფინანსო სექტორის გლობალური კონკურენტუნარიანობის შესახებ" და მისგან გამომდინარე კანონპროექტებზე", ავტორი, სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი, CSI.

2008 – ანალიტიკური კვლევა: „გორის ტურისტული პოტენციალის კვლევა", გორის მუნიციპალიტეტი.

2007 – ანალიტიკური კვლევა: ,,ადგილობრივი ეკონომიკური პოლიტიკა სამცხე-ჯავახეთისა და ქვემო ქართლის რეგიონებში", კვლევის ავტორი, Care International.

2007 – ანალიტიკური კვლევა: ,,ეკონომიკური ურთიერთობები საქართველოსა და სომხეთს შორის: რეგიონული ვაჭრობის განვითარება სამცხე-ჯავახეთში", კვლევის მონაწილე, Eurasia Foundation; UNDP.

01/2006 – 12/2008 – სარედაქციო საბჭოს წევრი, ჟურნალი "ახალი ეკონომისტი".

2006 - 2009 – თანარედაქტორი, "საქართველოში ადგილობრივი დემოკრატიის წლიური ანგარიში", 2006, 2007, 2008, 2009-2010 წლები, ფონდი ,,ღია საზოგადოება - საქართველო".

2002 – სახელმძღვანელო: „თანამედროვე ევროპა ციფრებში" – თანაგამომცემელი.
წიგნი: "ევროკავშირის ეკონომიკა" – რედაქტორი.

ჯილდოები

ჯორჯ შულცის სახელობის სტიპენდია (1998/99 სასწ. წელი).
საქართველოს პრეზიდენტის ჯილდო ,,სტუდენტური დღეები 1999"-ის ეგიდით გამართულ სამეცნიერო კონფერენციებში II ადგილის მოპოვებისათვის.
2007-2010 21 კონფერენციის მონაწილე (მ.შ. 7 საერთაშორისო), 3 კონფერენციის ორგანიზატორი.

09/2010-02/2011 საერთაშორისო ანალიტიკური კვლევა: ინსტიტუციონალური ჩარჩო გრძელვადიანი სოციალური დაცვით სარგებლობისათვის, კვლევა „ღია საზოგადოების ინსტიტუტის" (OSI) ადგილობრივი თვითმმართველობისა და საჯარო სერვისის რეფორმის ინიციატივის პროგრამის ფარგლებში (პოლონეთი, დიდი ბრიტანეთი, გერმანია, ესპანეთი, რუმინეთი, უნგრეთი, ლიტვა, სლოვაკეთი, საფრანგეთი, უკრაინა, სერბია, შვედეთი, საქართველო).

2010 – ანალიტიკური კვლევა: ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობა საქართველოსა და სომხეთს შორის (არსებული პრობლემები და გამოწვევები), Care International კავკასიაში.

2010 – ანალიტიკური კვლევა: მიგრაცია საქართველოში (თანაავტორი), საქართველოს პროფესიული კავშირების კონფედერაცია, ILO.

2010 – ანალიტიკური კვლევა: პოლიტიკური პარტიების სოციალ-ეკონომიკური პროგრამების მიმოხილვა (თანაავტორი), FES.

2010 – ანალიტიკური კვლევა: ადგილობრივი თვითმმართველობის სტანდარტები საქართველოში (CIESR).

2009 – ანალიტიკური კვლევა: ,,ადგილობრივი თვითმმართველობების ხარჯვითი პოლიტიკა საქართველოში", კვლევთი ჯგუფის ხელმძღვანელი, გერმანიის ტექნიკური თანაშრომლობის საზოგადოება, GTZ.

2009 – ანალიტიკური კვლევა: ,,დამოუკიდებელი მარეგულირებელი კომისიების საქმიანობა საქართველოში, კვლევის თანაავტორი, ფრიდრიხ ებერტის ფონდი, FES.

2009 – საკანონმდებლო კვლევა: „თვითმმართველობის მარეგულირებელი კანონმდებლობის შესაბამისობა "ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" ევროპული ქარტიასთან", კვლევის თანაავტორი, ურბანული ინსტიტუტი, The Urban Institute, USAID.

2009 – დამხმარე სახელმღვანელო: „საზოგადოებრივი ადმინისტრირება" - თანაავტორი.

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი -

ლევან ყიფიანი

დაიბადა 1971 წლის 6 სექტემბერს

1988-1993 წწ. სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სამართალმცოდნეობის ფაკულტეტზე; სპეციალობა - იურისტი

ჰყავს მეუღლე და ორი შვილი

ენები: ქართული, რუსული, ინგლისური.

სამუშაო გამოცდილება

2012 - საზოგადოებრივი მოძრაობა «ქართული ოცნების» სპორტის თემატური ჯგუფის ხელმძღვანელი;

2010 - საქართველოს სპორტული არბიტრაჟი; დამფუძნებელი;

2008 - კავშირი «ჩვენი ფეხბურთი», დამფუძნებელი;

2002-2005 - საფეხბურთო კლუბი «ლოკომოტივი» თბილისი; გენერალური მენეჯერი, მმართველი დირექტორი. დ. ყიფიანის სახელობის თასის მფლობელი (2005);

2005 - საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია, გამგეობის წევრი

2005 - საქართველოს პროფესიული საფეხბურთო ლიგა, დირექტორთა საბჭოს წევრი;

2001 - დავით ყიფიანის საერთაშორისო ფონდი - პრეზიდენტი;

1999 - 2000 საქართველოს ფუტსალის ეროვნული ნაკრები - მწვრთნელი;

1999 - ბავშვთა და ჭაბუკთა საფეხბურთო ლიგა; პროექტის ავტორი;

1998 - საქართველოს მინი-ფეხბურთის (ფუტსალის) ასოციაცია; დაფუძნებელი;

1997 - 2001 საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია, ბავშვთა და ჭაბუკთა ფეხბურთის კომიტეტის თავმჯდომარე;

1997 - საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი «ფეხბურთი ბავშვებს», ვიცე-პრეზიდენტი;

1997 - საფეხბურთო სკოლა «ირაო», დამფუძნებელი;

1996 - 1997 №35 საფეხბურთო სკოლა, თბილისი - მწვრთნელი;

1996 - 1997 საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია, UEFA-ს B კატეგორიის მწვრთნელი.

სპორტული გამოცდილება

1993 -1995 სკ «დინამო» თბილისი;

საქართველოს ჩემპიონი, საქართველოს თასის მფლობელი;

1992 -1993 სკ «ვორმაცია», გერმანია;

1990 -1992 სკ შევარდენი-1906» თბილისი

«1990-1991 სეზონის საუკეთესო გოლის» პრიზის მფლობელი

1988 - 1990 სკ «დინამო» თბილისი;

სსრკ ჩემპიონატი (დუბლები)

1987 - სსრკ ხალხთა სპარტაკიადა, საქართველოს (ახალგაზრდული) ნაკრები ფეხბურთში (III ადგილი).

საქართველოს ფინანსთა მინისტრი -

ნოდარ ხადური

დაიბადა 1970 წლის 29 აგვისტოს თბილისში.
ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.
ფლობს ინგლისურ და რუსულ ენებს.

სამუშაო გამოცდილება

2012 წლის 25 ოქტომბრიდან

საქართველოს ფინანსთა მინისტრი

2012 წელი

საქართველოს პარლამენტის წევრი, საარჩევნო ბლოკი „ბიძინა ივანიშვილი - ქართული ოცნება“

მპგ „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ აღმასრულებელი მდივანი.

2006 წლიდან

ი.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სრული პროფესორი, მაკროეკონომიკის კათედრის ხელმძღვანელი

2004-2008 წლებში

გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ეროვნული კონსულტანტი

2004-2005 წლებში

ი.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ეკონომიკის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე

2003-2004 წლებში

საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე, საპარლამენტო მდივანი

2003-2004 წლებში

საქართველოს პარლამენტის გადასახადებისა და შემოსავლების კომიტეტის აპარატის უფროსი

1999-2000 წლებში

საქართველოს ეკონომიკის მინისტრის აპარატის უფროსი

1999 წლიდან

ი.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ლექტორი

1997-1998 წლებში

საქართველოს ფინანსთა მინისტრის მრჩეველი, აპარატის უფროსი, შიდა ქართლის სამხარეო-საფინანსო ადმინისტრაციის უფროსი

1996-1997 წლებში

საქართველოს ეკონომიკის მინისტრის თანაშემწე

სხვადასხვა დროს ლექციათა კურსი - კავკასიის უნივერსიტეტში, საქართველოს უნივერსიტეტში, ზ. ჟვანიას სახელობის საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტში. კითხულობდა: მაკროეკონომიკას, ეკონომიკის პრინციპებს, მაკროეკონომიკურ თეორიას, მაკროეკონომიკურ რეგულირებას და დაგეგმვას, საქართველოს ეკონომიკას, გარდამავალი პერიოდის მაკროეკონომიკას, მაკროეკონომიკურ პოლიტიკას.

1987-1988
1990-1992 წლებში

საწარმოო გაერთიანება ჩარხმშენებელი

განათლება/ტრენინგები

2002 წელი

წარმატებით დაიცვა დისერტაცია თემაზე: „მაკროეკონომიკური პოლიტიკის ფორმირების თავისებურებანი პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პირობებში (საქართველოს მაგალითზე)“.

1996-1999 წლებში

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის ასპირანტი.

1991-1996 წლებში

ი.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ეკონომიკის ფაკულტეტი, მაკროეკონომიკის სპეციალობით - წარჩინებით

კვალიფიკაცია აიმაღლა ავსტრიაში, ვენის გაერთიანებულ ინსტიტუტში (ფისკალური პოლიტიკა, მაკროეკონომიკური ანალიზი და პოლიტიკა), შვედეთის განვითარების სააგენტოში (საგადასახადო პოლიტიკა), ეგვიპტის განვითარების სააგენტოში (ექსპორტის სტიმულირება).

სამეცნიერო ნაშრომები

არის 100-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, რომლებიც გამოქვეყნებულია აშშ-ში, უნგრეთში, ბულგარეთში, შვედეთში, რუსეთის ფედერაციაში, აზერბაიჯანში. კვლევის ძირითადი მიმართულებებია: მაკროეკონომიკა, მაკროეკონომიკური პოლიტიკა, მონეტარული და ფისკალური მაკროეკონომიკა, საქართველოს ეკონომიკა, საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკა, ტრანსფორმაციული ეკონომიკა.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრი -
შალვა ფიფია

დაიბადა 1976 წლის 26 თებერვალს ქ.თბილისში

განათლება:

2007წ – დაამთავრა კავკასიის ბიზნესის სკოლა. არის ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი. გავლილი აქვს კომერციულ ოფიცერთა მომზადების ტრეინინგი – UK Trade and Investment (ლონდონი, დიდი ბრიტანეთი)

1995-1999წწ – ოქსფორდის ბრუქსის უნივერსიტეტი (დიდი ბრიტანეთი), ბაკალავრის ორმაგი ხარისხი ეკონომიკასა და პოლიტოლოგიაში

1993-1995 წწ. – დიდი ბრიტანეთი, მანჩესტერის საქალაქო კოლეჯი. მიღებული აქვს A Levels ეკონომიკაში, საბუღალტრო აღრიცხვასა და მათემატიკაში.

1992-1993 წწ – ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების ფაკულტეტი

1992 წ – დაამთავრა ა.რაზმაძის სახელობის ფიზიკა-მათემატიკური გიმნაზია

სამუშაო გამოცდილება:

2013 წლის 24 მაისიდან საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრი

2013 წლის 10 მაისიდან 24 მაისამდე საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილე (მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი)

2012 წლის ნოემბრიდან – 2013 წლის 10 მაისამდე საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე

2009 – 2012 წწ – აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ დაფინანსებული მექანიზაციის პროექტის მენეჯერი

2008-2009 წწ – Multiplex Holdings Group-ის ფინანსური დირექტორი

2006-2008 წწ – CNFA-საქართველოს მიერ განხორციელებულ „ფონდ ათასწლეულის გამოწვევა–საქართველოს“ „აგრობიზნესის განვითარების პროექტის“ მენეჯერის მოადგილე

2005 წლის სექტემბრიდან – OSCE წარმომადგენლობა საქართველოში. ეკონომიკისა და გარემოს დაცვის ოფიცერი

2005წ – საქართველოს გაერთიანებულ სადისტრიბუციო ელექტროკომპანიაში აქტივებისა და ვალდებულებების მართვის დეპარტამენტის უფროსი

2003-2005 წწ – საქართველოში ბრიტანეთის საელჩოს კომერციული ოფიცერი

2002–2003წწ – CERMA-ში უფროსი ფინანსური კონსულტანტი

2001-2002წწ – სს„ინტელექტბანკის“ კრედიტებისა და ინვესტიციების დირექტორი

2000-2001 წწ – სს „ინტელექტბანკის“ საკრედიტო დეპარტამენტის უფროსი

1999–2000წწ – სს „ინტელექტბანკის“ საკრედიტო დეპარტამენტის უფროსი სპეციალისტი

1998წ – Barents Group LLC-ის ფასიანი ქაღალდების ბაზრის პროექტში მარეგულირებელი

გუნდის წევრი

ენები:

სრულყოფილად ფლობს ინგლისურ და რუსულ ენებს. ესპანური – თავისუფლად

პერსონალური ინფორმაცია:

ჰყავს მეუღლე

საქართველოს სახელმწიფო მინისტრი ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში - ალექსი პეტრიაშვილი

დაბადების თარიღი: 1970 წლის 24 აგვისტო, თბილისი

განათლება

2000 - ნატო-ს თავდაცვის კოლეჯი, რომი

1987-1992 - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი; ეკონომიური და სოციალური გეოგრაფიის ბაკალავრი.

პოლიტიკური გამოცდილება

2012 - პოლიტიკური კოალიცია „ქართული ოცნების" პოლიტიკური საბჭოს წევრი;

07.2009 – 10.2012 - პოლიტიკური პარტია „თავისუფალი დემოკრატების" პოლიტიკური მდივანი;

პროფესიული გამოცდილება

25.10.2012 –დღემდე – საქართველოს სახელმწიფო მინისტრი ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში;

01.10.2012- 25.10.2012 - საქართველოს პარლამენტის წევრი

10/2004-2/2009 - საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი თურქმენეთსა და ავღანეთის ისლამურ რესპუბლიკაში

- - ეკონომიკური და პოლიტიკური კავშირების გაუმჯობესება საქართველოს, თურქმენეთსა და ავღანეთის ისლამურ რესპუბლიკებს შორის;
- - აქტიური მონაწილეობა თურქმენეთიდან ენერგო-რესურსების სატრანზიტო გზების დივერსიფიკაციის, აღმოსავლეთ-დასავლეთ ენერგიის რეალიზაციისა და სატრანსპორტო კორიდორის პროექტებზე მრავალმხრივ და ორმხრივ კონსულტაციებში;
- - ორმხრივი და სამმხრივი პროექტების ინიცირება ავღანეთის ეკონომიკის რეკონსტრუქციისა და რეაბილიტაციისთვის -აქტიური კონსულტაციები ავღანეთის

მთავრობასთან, გაეროს ოფისსა და ქაბულში არსებულ სხვა საერთაშორისო მისიებთან ავღანელი ხალხისათვის ჰუმანიტარული, საგანმანათლებლო და ენერგო საჭიროებისათვის დამატებითი სახსრების უზრუნველსაყოფად.

09/02 - 09/04 - **აშშ-ში, მექსიკასა და კანადაში საქართველოს საელჩოს მთავარი მრჩეველი**

- - ურთიერთობა აშშ-ს სახელმწიფოს შესაბამის უწყებებთან:

1. პოლიტიკურ და სამხედრო-პოლიტიკურ საკითხებზე (რუსეთის მიერ საქართველოდან ჯარების გაყვანის, საქართველოს ნატოში ინტეგრაციის, საერთაშორისო და რეგიონული უსაფრთხოების საკითხებზე და ა.შ);
2. ეკონომიკური თანამშრომლობისა და საფინანსო საკითხებზე. საქართველოსათვის ფინანსური და ტექნიკური დახმარებისათვის გამოყოფილი ბიუჯეტის პარამეტრებზე მოლაპარაკებები; USAID-ის მეშვეობით ახალი დახმარების პროგრამების შემუშავება; ენერგეტიკის დეპარტამენტთან ენერგეტიკული თანამშრომლობისათვის მოკლე და გრძელვადიანი სტრატეგიის შემუშავება; მოლაპარაკებები საქართველოს ჩართვაზე ათასწლეულის გამოწვევის ანგარიშის პროექტში; აშშ-ს კერძო სექტორთან ახალი საინვესტიციო პროექტების განვითარება.

- - მრავალმხრივ საფუძველზე: კონსულტაციები ეროვნული ბიუჯეტის რეალიზაციის შეფასებაზე საერთაშორისო სავალუტო ორგანიზაციასა და მსოფლიო ბანკთან; მონაწილეობა მომავალი საფინანსო წლის ახალი პარამეტრების შემუშავების პროცესში.
- - პარიზის კლუბის შეთანხმებული პირობების შესაბამისად საგარეო ვალის რესტრუქტურიზაციისათვის მაღალი დონის მოლაპარაკებებში მონაწილეობა და დაგეგმვა.
- - საქართველოს კერძო სექტორში საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის (IFC) უფრო აქტიური მონაწილეობის ხელშეწყობა.

05/01 - 09/02 - **ავსტრიის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს, ეუთოში საქართველოს მუდმივი წარმომადგენლობისა და ვენაში საერთაშორისო ორგანიზაციების, გაერო-ს ორგანიზაციებში- UNIDO, UNODC და ა.შ. მთავარი მრჩეველი**

- - სამხედრო-პოლიტიკურ საკითხებზე პასუხისმგებელი - მონაწილეობა მოლაპარაკებებში, რომელიც მიზნად ისახავდა ეუთოს 1999 წლის სტამბულის შეთანხმების რეალიზაციას საქართველოდან რუსეთის ჯარების გაყვანის თაობაზე;

მონაწილეობა საქართველოში ეუთოს სასაზღვრო მონიტორინგის მისიის დაფინანსების შესახებ მოლაპარაკებებში; მოკლე და გრძელვადიანი ფინანსური და ტექნიკური საჭიროებების განსაზღვრა საქართველოს ტერიტორიის რადიოაქტიული, ქიმიური და სხვა ნარჩენებისაგან გაწმენდისათვის; საერთაშორისო ატომური ენერგიის სააგენტოს (IAEA) მიერ საქართველოსათვის გამოყოფილი წლიური ბიუჯეტის შემუშავება; გაეროს სხვადასხვა ფორუმებში მონაწილეობა.

09/98 - 05/01 - **საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს სამხედრო-პოლიტიკური დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე**

- - საქართველოში ნატოს პროგრამის ,,პარტნიორობა მშვიდობისათვის" შემუშავების კოორდინირება; კონსულტაციები ნატო-ს საერთაშორისო აპარატთან და შესაბამის უწყებებთან ,,პარტნიორობა მშვიდობისათვის" პროგრამის სახელმწიფო კომისიის ფარგლებში; საერთაშორისო დახმარების მობილიზება და მათი მიმართვა საქართველოს თავდაცვისუნარიანობის გაძლიერებისათვის.

05/98 - 09/98 - **საქართველოს საგრეო საქმეთა სამინისტროს სამხედრო-პოლიტიკური დეპარტამენტის ორმხრივი ურთიერთობების სამსახურის უფროსი**

- - პოლიტიკური და სამხედრო-პოლიტიკური ორმხრივი ურთიერთობების გაუმჯობესება და ხელშეწყობა; ამერიკის უწყებათაშორის დელეგაციასთან უსაფრთხოების დიალოგის მომზადება.

05/95 - 05/98 - **საქართველოს პრეზიდენტის აპარატი, საგარეო პოლიტიკის ანალიზის სამსახური, სახელმწიფო მრჩეველი**

- - რეგიონული და უსაფრთხოების საკითხებისა და პოლიტიკური განვითარების ანალიზი, სასაუბროებისა და ანალიტიკური ინფორმაციის მომზადება საქართველოს პრეზიდენტისთვის სახელმწიფო, ოფიციალური და უცხო ქვეყნების მეთაურების საქართველოში ვიზიტებისას.

01/94 - 05/95 - **სახელმწიფოს მეთაურის სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახურის საგარეო ურთიერთობათა განყოფილების მთავარი სპეციალისტი**

- - საქართველოში სხვადასხვა სახელმწიფოს მეთაურთა ვიზიტების მომზადებაში მონაწილეობა;

ენები - ქართული (მშობლიური), ინგლისური (თავისუფლად), რუსული (თავისუფლად)

ოჯახური მდგომარეობა: მეუღლე და სამი შვილი

საქართველოს სახელმწიფო მინისტრი დიასპორის საკითხებში - კონსტანტინე სურგულაძე

დაიბადა 1971 წლის 14 ივლისს თბილისში.

1989 წელს დაამთავრა ქ. თბილისის # 1 ექსპერიმენტული სკოლა.

1990 წელს ჩაირიცხა ქალაქ კიევის საერთაშორისო ურთიერთობების ინსტიტუტში.

1991 წელს სწავლა განაგრძო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უ ნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკუ ლტეტზე საერთაშორისო სამართლის სპეციალობით.

1996 წელს ადამიანის უფლებათა სამართლისა და პრაქტიკის პროგრამის ფარგლებში გა ემგზავრა ბირმინგჰემის უნივერსიტეტში,

1997 წელს კი საერთაშორისო სამართლის ჰააგის აკადემიაში.

1996 წლიდან დაინიშნა საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო სამართლებრივი დეპარტამენტის III მდივნად.

1998 წელს გადაყვანილ იქნა ამავე სამინისტროს საკონსულო დეპარტამენტში.

2001 წელს დაინიშნა დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებულ ს ამეფოსა და ირლანდიის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს კონსულის თანამდებობ აზე.

2005 წელს გაეროს პროგრამით მუშაობდა საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპ ორაციაში.

2006 წელს იყო საქართველოში Chevron-Texaco–
ს ოფიციალური წარმომადგენლობის გენერალური დირექტორი.

2007 წელს დაინიშნა საგარეო საქმეთა სამინისტროს საკონსულო დეპარტამენტის დირექ ტორის თანამდებობაზე.

2009 წელს შეუერთდა ირაკლი ალასანიას გუნდს. იყო აღმასრულებელი საბჭოს წევრი დ ა ხელმძღვანელობდა რეგიონალურ საკითხებს.

2010-
2011 წლებში ხელმძღვანელობდა პარტია "თავისუფალი დემოკრატების" ადმინისტრაცი ას.

2012 წლიდან ხელმძღვანელობდა კოალიცია "ქართული ოცნების" მიგრაციისა და დიასპ ორების დეპარტამენტს.

2012 წლის 25 ოქტომბრიდან დაინიშნა დიასპორების საკითხებში სახელმწიფო მინისტრ ის თანამდებობაზე.

ფლობს რუსულ, ინგლისურ და ფრანგულ ენებს.

ჰყავს მეუღლე და ოთხი შვილი.

საქართველოს სახელმწიფო მინისტრი რეინტეგრაციის საკითხებში - პაატა ზაქარეიშვილი

დაიბადა 1958 წლის 4 აგვისტოს.

1984 წელს დაამთავრა ყაზანის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

1993 წელს დაამთავრა თბილისის სასულიერო აკადემია.

1992-1995 წლებში იყო ადამიანის უფლებათა და ეროვნებათაშორისი ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის რელიგიურ უფლებათა დაცვის განყოფილების უფროსი.

1992-1997 წლებში იყო ქართულ-აფხაზურ კონფლიქტში სამხედრო ტყვეთა, უგზოუკვლოდ დაკარგულთა და კონფლიქტურ ზონაში მშვიდობიანი მოსახლეობის დაცვის კომისიის ხელმძღვანელი.

1995 წელს ასრულებდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს მრჩევლის მოვალეობას დევნილთა და ლტოლვილთა საკითხებზე.

1995-1997 წლებში იყო "ღია საზოგადოების ინსტიტუტის" (ნიუ-იორკი) იძულებითი მიგრაციის პროექტის კოორდინატორი.

1995-2000 წლებში იყო საქართველოს პარლამენტის, ადამიანის უფლებათა დაცვისა და ეროვნულ უმცირესობათა საკითხების კომიტეტის აპარატის უფროსი.

1995-2012 წლებში იყო კალიფორნიის უნივერსიტეტის (ირვაინი) ქართულ-აფხაზური სამოქალაქო დიალოგის პროექტის ქართული მხარის კოორდინატორი.

1998-2012 იყო "შერიგების რესურსების" (ლონდონი) ქართულ-აფხაზური პროექტების კოორდინატორი ქართული მხრიდან და "შლაინინგის პროცესის" ქართული მხარის კოორდინატორი.

2000-2001 წლებში ასრულებდა საქართველოს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობას.

2000-2004 წლებში გახდა "ფონდ ღია საზოგადოება - საქართველოს" აღმასრულებელი საბჭოს წევრი.

2002-2006 წლებში იყო თბილისის საკრებულოს წევრი.

2009-2012 წლებში ხელმძღვანელობდა ნაციონალიზმისა და კონფლიქტების კვლევის ინსტიტუტს (ISNC).

ჰყავს მეუღლე და ოთხი შვილი

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი -
ალექსანდრე ჭიკაიძე

დაბადებულია თბილისში 1985 წლის 6 ივნისს.

2007 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ისტორიის ფაკულტეტი, დიპლომატიის სპეციალობით.

პროფესიული გამოცდილება:

2013 წლის მარტიდან დღემდე შსს-ს თბილისის მთავარი სამმართველოს უფროსი.

2012 -2013 წწ - შსს-ს კახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს უფროსი.

2011-2012 წწ - შსს-ს თბილისის მთავარი სამმართველოს გლდანი-ნაძალადევის სამმართველოს პოლიციის განყოფილების უფროსი.

2010-2011 წწ - შსს-ს თბილისის მთავარი სამმართველოს გლდანი-ნაძალადევის სამმართველოს დეტექტივ-გამომძიებელი.

2009 წ - შსს-ს თბილისის მთავარი სამმართველოს გლდანი-ნაძალადევის სამმართველოს დეტექტივის თანაშემწე-გამომძიებელი.

2008- 2009 წწ - მუშაობდა თბილისის მთავარი სამმართველოს გლდანი-ნაძალადევის და ვაკე-საბურთალოს რაიონის სხვადასხვა განყოფილებაში.

წოდება: პოლიციის პოლკოვნიკი

ენების ცოდნა: ქართული, რუსული, ინგლისური.

ოჯახური მდგომარეობა: ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრი - დავით დარახველიძე

დაბადების თარიღი: 4 ივნისი, 1958 წელი
დაბადების ადგილი: სოფელი ბოსტანა, ამბროლაური,
საქართველო
ოჯახური მდგომარეობა: დაოჯახებული

სამუშაო გამოცდილება:
29.10.2012 წ-დან საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრი.
2011-2012წ. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებების გაერთიანების მთავარი ფინანსური მენეჯერი.
2009-2011წ. საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების სფეროს დეპარტამენტის აუდიტორი, საქართველოს კონტროლის პალატა.
2007-2009წ. შ.პ.ს. „ვეგა" - აუდიტორული და იურიდიული მომსახურება.
2004-2007წ. ადგილობრივი ბიუჯეტების დეპარტამენტის აღმოსავლეთ საქართველოს სამმართველოს უფროსის მოადგილე, საქართველოს კონტროლის პალატა.
2004წ. ქ.თბილისის იურიდიული მომსახურების ცენტრის ადვოკატი.
2003-2004წ. საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებული რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარეში.
1998-2003წ. საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებულის პირველი მოადგილე რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარეში.
1995-1998წ. რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონული კონტროლის პალატის თავმჯდომარე, საქართველოს კონტროლის პალატა.
1991-1995წ. მრავალდარგოვანი ინდივიდუალური საწარმოს „რიონის" დამფუძნებელი და დირექტორი - გულრიფშის რაიონი, აფხაზეთის ასსრ.
1990-1993წ. კოოპერატივი „მშენებელის" დამფუძნებელი - გულრიფშის რაიონი, აფხაზეთის ასსრ.
1991-1993წ. მრავალდარგოვანი მოძრავი მექანიზირებული კოლონა #33-ის მართვის საბჭოს თავმჯდომარე - სამშენებლო ტრესტი #7, გულრიფშის რაიონი, აფხაზეთის ასსრ,

საქართველოს სასოფლო მშენებლობის სამინისტრო.

1985-1991წ. მოძრავი მექანიზირებული კოლონა #33-ის უფროსი - სამშენებლო ტრესტი #7, გულრიფშის რაიონი, აფხაზეთის ასსრ, საქართველოს სასოფლო მშენებლობის სამინისტრო.

1984-1985წ. სამრეწველო საწარმოთა კომბინატის დირექტორი - სამშენებლო ტრესტი #7, ქალაქი ოჩამჩირე, აფხაზეთის ასსრ, საქართველოს სასოფლო მშენებლობის სამინისტრო.

1984წ. საწარმოო ტექნიკური კომპლექტაციის სამმართველოს უფროსი - სამშენებლო ტრესტი #7, ქალაქი ოჩამჩირე, აფხაზეთის ასსრ, საქართველოს სასოფლო მშენებლობის სამინისტრო.

1982-1984წ. მოძრავი მექანიზირებული რაზმის უფროსი - მოძრავი მექანიზირებული კოლონა #74; ოჩამჩირის რაიონი, ახალი კინდღი, აფხაზეთის ასსრ, საქართველოს სასოფლო სამშენებლო სამინისტრო.

1981-1982წ. საწარმოო ტექნიკური განყოფილების უფროსი - მოძრავი მექანიზირებული კოლონა #74, ქ.თბილისი - საქართველოს სასოფლო მშენებლობის სამინისტრო.

1980-1981წ. მშენებლობის ოსტატი - მოძრავი მექანიზირებული კოლონა #74, ქ.თბილისი - საქართველოს სასოფლო მშენებლობის სამინისტრო.

პოლიტიკური საქმიანობა: პოლიტიკური პარტია ,,ეროვნული ფორუმის" წევრი 2006 წლიდან. რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონული ორგანიზაციის კოორდინატორი.

განათლება:

2002 წ. ევროსაბჭოს ქ.თბილისის პოლიტიკური სწავლების სკოლა.

1996წ. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი იურისტის სპეციალობით.

1980წ. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტი, ინჟინერ-მშენებლის სპეციალობით.

1975წ. ამბროლაურის რაიონის სოფელ სადმელის საშუალო სკოლა ოქროს მედალზე.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი -
მაია ფანჯიკიძე

იგი საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრად 2012 წლის 25 ოქტომბერს დაინიშნა.
მინისტრად დანიშვნამდე, მაია ფანჯიკიძე აქტიურად მონაწილეობდა პოლიტიკური კოალიცია „ქართული ოცნების" საქმიანობაში. 2012 წლის თებერვალში მაია ფანჯიკიძემ კოალიციის პრესსპიკერისა და ცენტრალური ოფისის ხელმძღვანელის თანამდებობა დაიკავა. 2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვების შემდეგ, პოლიტიკურ კოალიცია „ქართულ ოცნებას" მთავრობის ფორმირება დაევალა.
პოლიტიკურ არენაზე გამოჩენამდე, მაია ფანჯიკიძემ დიპლომატიური კარიერის მნიშვნელოვანი გზა გაიარა. ის იყო გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი (2004-2007) და ნიდერლანდების სამეფოში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი (2007-2010). როგორც პროფესიონალ დიპლომატს, საგარეო უწყებაში მას სხვადასხვა თანამდებობა ეკავა, პირველი მდივნობიდან დაწყებული (1994),დამთავრებული მინისტრის მოადგილეობით (2004).
მაია ფანჯიკიძე, როგორც ფილოლოგი და ლექტორი, 1998 წლიდან აქტიურ პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა. 2010-2011 წლებში ის კითხულობდა ლექციებს გურამ თავართქილაძის სახელობის უნივერსიტეტში სრული პროფესორის სტატუსით. მაია ფანჯიკიძე გერმანული ენის მასწავლებელთა კავშირის დამაარსებელი და თავმჯდომარეა; მას ეკუთვნის მთელი რიგი შრომები გერმანული ენისა და ლიტერატურის სფეროში.
მაია ფანჯიკიძე ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორია. მან დაამთავრა იენის (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა) ფრიდრიჰ შილერის სახელობის უნივერსიტეტი და თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

ქართული ენის გარდა, ის ფლობს გერმანულ, ინგლისურ, რუსულ და ნიდერლანდურ ენებს.

ჰყავს მეუღლე და ორი ვაჟი.